№ 167 აგვისტო 6, პარასკევი · 1893 · აგვისტ[illegible] 6, პარასკევი № 167

# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თთვე | მან. კ. | თთვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვი ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1893 **სა პოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1893

**დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 8 აგვისტოს**

## სასწავლებელი და პანსიონი

## ჯორჯიკიასი

(ქუთაისი)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თთვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში).

(5—2)

ამით ვაცხადებ ქუთაისის ოლქის თავად-აზნაურთა საყურადღებოდ, რომ ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლაში მისაღები ეგზამენები და სკოლის მოსწავლეთა ხელმეორედ გამოცდა დაიწყება 25 აგვისტოს, ხოლო სწავლა 1 ენკენისთვეს. თხოვნით მიმართვა სკოლაში შეიძლება 20 აგვისტოდგან.

სკოლის ინსპექტორი ვ. ყიფიანი

(3—1)

### უსიამოვნო სტუმარი

—

ეხლა შეიძლება ითქვას გადაწყვეტილად, რომ შარშანდელი ჩვენი უსიამოვნო სტუმარი—ხოლერა ისევ გვესტუმრა. გაზეთებში ყოველ დღე იბეჭდება ხოლერის ამბავი აქა-იქ. მაგრამ ჩვენ სრულიად ვერ შევამჩნიეთ, რომ წელს ეს საშინელი სენი დიდს შთაბეჭდილებას ახდენდეს საზოგადოებაზედ. ვისიც პირდაპირი მოვალეობა არის, ყურადღება მიაქციონ სენის გავრცელებას, იმათ, რასაკვირველია, არ სძინავთ და კიდევაც იწყეს ჯეროვან საშვალების მიღება. მაგრამ საზოგადოება-კი ჯერ სრულს გულ-გრილობას იჩენს ამ საქმეში.

აქ უნებურად ერთი საკითხი ებადება კაცს: ნუ თუ წელს სიკვდილის შიში ნაკლებად მოქმედობს ადამიანზე, ვიდრე შარშან?—არა, სიკვდილის ფიქრი, როგორც შარშან, წელსაც ისე მოქმედობს და ვიდრე კაცობრიობა იქნება, ყოველთვის დარჩება საშიშად და სამწუხაროდ. მაგრამ თუ ეხლა იმოდენან აღარ აფრთხობს ხალხის აზრსა და გონებას ხოლერა, ეს იმის ბრალია, რომ ხალხი შეეჩვია.

შეჩვევას საკვირველი თვისება აქვს. ის ამბავი, რაც გუშინ ხალხისთვის დაუჯერებელი იყო და ვერაოდეს ვერ წარმოიდგენდა თუ ოდესმე შეეჩვეოდა, დღეს სრულიად ადვილად ეჩვევება. ასეთი არის ყოველის ეპიდემიის გავლენა ქვეყანაზედ, ხოლერა იქნება ბიგი, ომი თუ სხვა რამ პოლიტიკური, ან სოციალური უსამართლობა.

როდესაც კაცს, პირველად თავს ატყდება რომელიმე საშინელება, შეფუცხუნდება, შეჰქმნის ერთს ამბავს, მოიწოდებს მთელს თავის სიმხნეს, და ცდილობს, რომ წინააღუდგეს მოვლენილ უბედურებას... მაგრამ გადის დრო, ადამიანი თანდათან სუსტდება, აკლდება ენერგია და ეთვისება იმ მდგომარეობას, რომელიც წინად ყოვლად შეუძლებლად მიაჩნდა.

მთელი კაცობრიობის ისტორიაში ეს თვისება ადამიანისა წითელის ხაზით არის გატარებული და თუ ვინმე არ ემორჩილება ამ საზოგადო კანონს, ეს იმას ამტკიცებს, რომ ამისთანა პროტესტანტი უმაღლესი ბუნების პატრონია. და, რასაკვირველია, მხოლოდ ამ დიდ ბუნებოვან კაცთა წყალობით არის, რომ ქვეყანა ჯერ ჯოჯოხეთად არ გადაქცეულა, და ისინი მარად ჟამს უნათებენ ერს,—როგორც განთიადი ვარსკვლავი—თუ როგორის გზით უნდა სვლა ცხოვრების მოედანზე და როგორით არა. ასეთი დიდის გონების და ფხიზელი კაცები ყოველ სფერაში მოიპოვება და რაც მომეტებულს ჩამოთვლის ერი, მით უფრო მაღლადა სდგას მისი განვითარება და სწორი მხედველობა.

მაგრამ ჩვენ ერთობ ავშორდით პირდაპირ საგანს ჩვენის საუბრისას... ხოლერა თუმცა ისეთი საშიშარი სენი არ არის, რომ არასფერი გაეწყობოდეს, მაგრამ გაფრთხილება და თავის მოვლა მაინც საჭიროა, რათა კაცი სრულიად უშიშარი იყოს.

ეხლა ყველამ იცის, რომ უმთავრესი გარემოება, რომელიც უთუოდ უნდა იქმნას დაცული, არის შემდეგი: წმინდა ჰაერი, კარგი საჭმელი, მაგრამ ზომიერი, წმინდა წყალი, ან დაშაბული, ან გადადუღებული. ტანის თბილად შენახვა, ნამეტურ მუცლისა. ამბობენ, ინგლისის არც ერთი მისსიონერი, რომელნიც ათასობით უვლიან ინდოეთში ხოლერიანებს, არ გამხდარა ავად და ამას მიაწერენ განსაკუთრებით იმას, რომ ყოველს მისსიონერს ტანზედ ფლანელი აქვს მემოხვეული. ეს საშვალება იქნება ძნელი იყოს, მაგრამ მუცელზედ ფლანელის გაკეთება-კი უთუოდ საჭიროდ უნდა ჩაითვალოს.

შარშან ქართველმა ერმა დიდი სულის სიმხნე და გაგებულობა გამოიჩინა.

ჩვენ იმედი გვაქვს, რომ წელსაც ისე გონიერად და მუყაითად მიეგებება ხალხი ამ საშინელს სენს.

პირველი საშვალება კიდევ არის სულის სიმხნევე, და ის აზრი, რომ ხოლერასთან ბრძოლა ამაოდ არ ჩაივლის.

მეველე.

### ოფიციალური ცნობა ხოლერის შესახებ

აგვისტოს 4 მიხეილის სამკურნალოდგან გამოვიდა ჰენრიხ ბემლერი, რომელიც ხოლერით იყო ავად და ეხლა მორჩა. გუშინ დილით მიხეილის სამკურნალოში ხოლერით ავადმყოფების განყოფილებაში ავადმყოფები სრულიად აღარ იყვნენ. ამ დღეს ხოლერით ავადმყოფი არც ერთი არ მიუყვანიათ არც მიხეილის სამკურნალოში და არც რკინის გზის სამკურნალოს ხოლერით ავადმყოფებისთვის გამართულს ფარდულში. ამ ფარდულში გუშინ, ამ თთვის 5, დილით სამი ავადმყოფი იყო. აგვისტოს 4-ს ტფილისში ხოლერით ავად გახდა რკინის გზის სადგურ აჯიქაბულის ჟანდარმი გაბრიელ მორშნაგუნი, რომელიც სცხოვრობდა პოლიციის მეშვიდე განყოფილებაში, ნოვოტროიცკის პოსელენიაში, კახეთის დიდ გზაზე. მორშნაგუნი ხოლერით ავად გახდა საღამოს 4 საათზე და გაგზავნილ იქმნა ნავთულის სამხედრო საავადმყოფოში. ტფილისში გუშინდლამდე ხოლერით ავად გახდა სულ 14 კაცი, რომელთაგანაც 9 გარდაიცვალა, ერთი მორჩა, და ოთხი ავად არის.

ქალაქ ფოთში გასულის თთვის 29—31-მდე cholera asiatica-თი ავად გახდა ექვსი კაცი და ხოლერის

## ფელეტონი

—

### ინგლისის საზოგადო ცხოვრება

(წერილი ლონდონიდამ)

როგორც მფარველს დაჩაგრულ ერისას, გლადსტონს არ შეეძლო არ მიექცია ყურადღება ერთის უდიდესის საქმისათვის—დამონავებულ ირლანდიის გაბედნიერებისათვის. და აი ჩაჰკიდა კიდეც ხელი გლადსტონმა ამ უდიდესსა და უდიდებულესს საქმეს თავის სიცოცხლისას და ირლანდიის ავტონომიას, ირლანდიის განთავისუფლებას შესწირა მთელი თავისი მხნეობა, მთელი ძალ-ღონე თავისის გონებისა. რას იზამს ლორდთა პალატა—უარ-ჰყოფს, თუ შეიწყნარებს ახალს კონსტიტუციას? ამის თქმა წინდაწინვე ძნელია. ასე იქნება თუ ისე, მაინც გამარჯვება საეროვნო ცხოვრებისა უზრუნველყოფილია და პრინციპი ფედერალიზმისა მტკიცედ ეთვისება ინგლისელთა უმრავლესობას: განთავისუფლებულ ირლანდიაზე, კანადასა და ავსტრალიაზე, შოტლანდიასა და კაპის ქვეყანაზე, უელსზე, რომელნიც ფედერაციით დაკავშირდებიან ბრიტანიის იმპერიად, ეხლა მოურიდებლად ლაპარაკობენ კლუბებში, მიტინგებზედ, სალონებში...

გლადსტონმა გადასწყვიტა, რომ დანაშთენი დღენი თავისის მწიკვლმოუცხობელის სიცოცხლისა მთლად ირლანდიის ავტონომიისათვის შეეწირა. ამიტომ დაჟინებით უარ-ჰყოფდა თავის მეგობართა და თანამგრძნობთა რჩევას, რომელნიც სთხოვდნენ, იტვირთე და ითავე ეკონომიური და სოციალური რეფორმებიცაო. მოხუცი ჰხედავს ცხადად, რა აუცილებელსა და დიდად საყურადღებო საქმესაც ავალებენ. „Review of Reviews“-ის რედაქტორს სტედსა გლადსტონი, რა ძნელია სახელმწიფო სამსახური ეხლანდელ თაობის კაცთათვის. ჩემის აზრითაო, ამბობს გლადსტონი და, რასაკვირველია, სამართლიანადაც ამბობს, ჩემის თაობის სახელმწიფო კაცი უფრო იმის ცდაში იყო, რომ, დროების მიხედვით და თანხმად საზოგადოების სურვილისა, გაეუქმებინა ძველებური წესი და რიგი შუა-საუკუნეთა სახელმწიფო ცხოვრებისა. ეს საქმე, შედარებით, არც ისე ძნელი იყო. წინამდებარე საქმენი-კი, საქმენი მერმისისა, თხოულობს შემოქმედობის უნარსა, დაქცევას-კი არა, აშენება-აგებასა: უნდა შეიქმნას ახალი ფორმები საზოგადო ცხოვრებისა, ახალი წესი და რიგი ურთიერთობისა. ამისთანა საქმისათვის საჭირონი არიან ახალნი კაცნი, ახალი ძალ-ღონეო.

შარშან მაისში დიდი მანიფესტაცია იყო მუშა ხალხისა. შეკრბა 400,000 კაცი და გადასწყვიტა, დავწესოთ, რომ რვა საათზე მეტი მუშაობა არ იყოს დღეში მუშა-კაცთათვისაო.

კრებამ აირჩია დელეგატები და გაჰგზავნა გლადსტონთან. დელეგატებმა სთხოვეს, იტვირთეთ ამ საქმის წინ-გაძღოლა, მეთაურობაო. მოხუცებულმა უარი უთხრა დელეგატებს. „მოსძებნეთ თქვენთვის უფრო ახალგაზდა მოღვაწე, რომ შესძლოს ეგ დიდი საქმე დაამთავროს და გამარჯვებით დააგვირგვინოსო. ღმერთმა ჰქმნას, რომ ჩემი ძალა და ღონე მეყოს ირლანდიის ავტონომიის დასასრულებლადაო“. ეს ამბავი მოხდა არჩევანების წინად. ასეთის უარის გამო, შესაძლებელი იყო, რომ ლიბერალთა დასს გადასდგომოდა მილიონობით მუშა ხალხი, კარგად მომზადებული და გაწვრთნილი საარჩევანო ბრძოლისათვის; თუ მთლად მუშა ხალხი არა, დიდი მისი ნაწილი მაინც. კონსერვატორებმა ხელზე დაიხვიეს ეს ამბავი და ცას დაეწივნენ სიხარულით. ლორდმა სალისბერიმ (ინგლისურის გამოთქმით სოლსბერიმ) და ბალფურმა—მაშინდელმა მინისტრებმა, დიდის ამბით მიიღეს დელეგაცია და, ვინ იცის, რა არ აღუთქვეს, ოღონდ-კი ისევ ჩვენს ხელში დარჩეს არჩევანებზე ძალა და ღონეო, ჩვენმა დასმა გაიმარჯვოსო. კონსერვატორთა დასის აგენტები მაშინვე მოურიგდნენ მუშათა წინამძღოლ მოთავე კაცებს. ფულიც-კი მისცეს საარჩევანო აგიტაციისათვის, მუშა ხალხის კანდიდატები გამოიყვანეთო. ამ გარემოების გამო ბევრს თვალი წაუგორდა კონსერვატორებისაკენ: საარჩევანო აგიტაცია, როგორც მოგეხსენებათ, დიდს ხარჯსა და ფულსა თხოულობს; რაც უნდა იაფად დაჯდეს, 1000 გირვანქა სტერლინგი მაინც საჭიროა (10,000 მ.) თითოეულს საარჩევანო მაზრაში. არის ისეთი მაზრებიცა, საცა ვერც ორითა და სამი ათასის გირვანქა სტერლინგით წავა საქმე იოლად. მუშათა დასს გაუდგა განზე ერთი პატარა ჯგუფი, დაირქვა სახელად „დამოუკიდებელ მუშათა დასი“ და შეუდგა საარჩევანო ბრძოლას ლიბერალთა წინააღმდეგ. კონსერვატორებმა მისცეს ამ შორს-მხედველობას მოკლებულ პოლიტიკოსებს ფული და სიხარულით ელოდნენ არჩევანების გათავებას. მაგრამ იმათ ვერ გადიბირეს უფრო შესანიშნავნი წინამძღოლნი მუშებისა და ჯონ ბერნსი,—ეს მდაბიო ხალხის საყვარელი კაცი, სულ ლიბერალებთან ერთად იბრძოდა. არჩევანები გათავდა და 42 ხმის უმეტესობით გამარჯვება დარჩა გლადსტონს. კონსერვატორებმა გადასწყვიტეს, როგორც იყოს, უნდა ძირს დავცეთ ლიბერალთა სამინისტრო და, გაიხსენეს-რა, რომ გლადსტონმა უარი სთქვა, საეკონომიო რეფორმებისათვის ვერ მოვიცლიო, ჩასჭიდეს ხელი დღეში რვა საათის მუშაობის კანონ-პროექტს.

წარმოიდგინეთ ახლა გაკვირვება მთავრობის მეგობართაცა და მტერთაცა, როცა 4 მაისს, დილით, გაზეთებმა აუწყეს საზოგადოებას, რომ

მსგავსის ავადმყოფობით-კი—ოთხ კაცი. მათ შორის სამი გარდაიცვალა, ოთხი რჩება და სამი მძიმედ არის ავად.

ქ. ფოთშივე ივლისის 31-დგან აგვისტოს 2-დე ხოლერით ავად გახდა კიდევ ექვსი კაცი. გარდაიცვალა ორი. აგვისტოს სამამდე ფოთში ხოლერით ავად გახდა 16 კაცი; მათ შორის ხუთი გარდაიცვალა, ოთხი რჩება და შვიდი კაცი მძიმედ არის ავად.

ქ. ქუთაისში ბათუმიდგან ჩამოსული პრავიანტის მაღაზიის უფროსი ხოლერით ავად გახდა. ქუთაისში წელს ეს პირველი ავადმყოფია ხოლერით.

# ახალი ამბავი

⁂ ტფილისის პოლიცმეისტერის მოადგილემ ბრძანება გასცა, აკრძალულ იქმნას ტფილისში მტკვრის წყალის ხმარება, მაგრამ ავჭალის წყლის მილიც საკმარის წყალს არ იძლევა და მცხოვრებთ ხშირად აკლდებათ წყალი. მაგალითად, 3 აგვისტოს, სოლოლაკის მცხოვრებნი მთელ დღეს უწყლოდ იყვნენ.

⁂ ამ კვირია ქ. ტფილისში, ალექსანდრეს ბაღში გაიმართება უფასო საჩაიე. მსურველთ ყოველ დღე დილითა და საღამოთი მიეცემათ ჩაი პურით და ნადუღი წყალი.

⁂ იერუსალემიდამ დეპეშით იუწყებიან, რომ სრულიად სომეხთა კათალიკოსი მკრტიჩ I 5 აგვისტოს გამოემგზავრებაო. კათალიკოსი სამს დღეს ალექსანდრიაში დაჰყობს, 2 დღეს ტრიესტში, 4 დღეს ვენაში, 2 დღეს ვარშავას, 4 დღეს ოდესას, ორ დღეს ბათუმს და მთელს კვირას ტფილისში. ოდესაში კათალიკოსს მიეგებებიან წევრნი ეჩმიაძინის სინოდისა, ეპისკოპოსები პარტიან და ხუდავერდიან, აგრეთვე კიშინევის ეპარქიის უფროსი ეპისკოპოსი გრიგოლ აგაპერიანი. კათალიკოსის ამალას შეადგენს 12 კაცი. ყველასთვის ტფილისში ოთახები დამზადებულია ეპარქიის უფროსის სახლში.

⁂ სამშაბათს, 3 აგვისტოს, სახალხო მატარებლით ტფილისიდგან ბაქოსკენ გაემგზავრა ამიერ კავკასიის რკინის გზის სასანიტარო კომისია, რომელმაც ყველა სადგურები უნდა დასინჯოს.

⁂ კავკასიის მთავარ-მმართებლის თანაშემწემ გრ. ტატიშჩევმა 19 ივლისს ბრძანება გაუგზავნა კავკასიის ყველა გუბერნატორებს, ამიერიდგან ბაღებში და სხვა სასეირნო ადგილებში ჭიდაობა სრულიად იქმნას აკრძალულიო.

⁂ ქართულმა დრამატიულმა საზოგადოებამ, რომლის საკუთრებაცაა თ. დ. ერისთავის დრამა „სამშობლო", გამოაცხადა, რომ არავის არა აქვს უფლება ამ დრამის წარმოდგენისა „საზოგადოების" დაუკითხავად. თუ ვინმე ნება-დაურთველად წარმოადგენს ამ დრამას, პასუხის გებაში იქმნება მიცემული.

⁂ ტფილისის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-მა პ. ა. იზმაილოვმა, მკურნალის ბ-ნ ქიქოძისა და სასანიტარო კომისის თანადასწრებით დაათვალიერა დიდუბე და განსაკუთრებით ის სახლები, სადაც ხოლერიანი ავადმყოფები აღმოჩნდა.

⁂ კავკასიის სამხედრო სამკურნალო ოლქის ლაბორატორიამ გასინჯა ავადმყოფ მუშის ღვალიას განავალი და შიგ ხოლერის ბაცილები აღმოჩნდა.

⁂ მირზოევის აბანოს იჯარადარი ბ-ნი პ. სუქიასოვი დღეიდამ ჩაის ატარებინებს ქუჩა-ქუჩა ღარიბ ხალხისათვის შეითან ბაზარსა და მის მიდამოებშიდ უფასოდ ურიგებს. ჩაის დამტარებელი ორი იქნება: ერთი თათარი თათრებისათვის და ერთი ქრისტიანი—ქრისტიანებთათვის. შემდეგ ამავე იჯარადარს აზრადა აქვს კარგი საჩაიე გაჰმართოს აბანოსთანვე.

⁂ ჩვენ მოგვივიდა „შრომა" კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოებისა № 5— (მაისი, თიბათვე და ივლისი), შემდეგის შინარსისა: 1 ხილის არაყი ამიერ-კავკასიაში—ი. ზ. ანდრონიკაშვილისა; 2; მევენახობა ბორჩალოს მაზრაში— ს. ა. მელიქ-სარქისიანისა; 3, ვენახი —ი. ა. კიაშკოსი; 4, მევენახობა და ღვინის კეთება ყუბის მაზრაში—ა. ს. დარეჯანაშვილისა; 5, ბრძოლა ფილოქსერასთან—პროფესორ ფოექსისა, ნათარგმნი პონიატოვსკისა; და 6, გამოკვლევა კარტოფილის კულტურასი—ე. ქირარისა. ამას გარდა წიგნის ბოლოში ჩართულია გაგრძელება ე. ლანდოლტის წერილისა.

⁂ ქ. ფოთი, 3 აგვისტოს: თქვენი მტერი, როგორც თავს-ზარ დაცემულნი ფოთის მცხოვრებნი ვართ. რაღაც ავადმყოფობა არის, საშინელ სისწრაფით ასალმებს კაცს წუთისოფელს; მაგრამ ვინ არის კაცი, რომ უპატრონოს საზოგადოებას? შარშან სანიტარული კომისია მაინც ათვალიერებდა ქალაქს, თუმცა სნეულება უფრო რბილად ეკიდებოდა კაცს წრევანდელზედ. კარგი იქნება ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევდენ, ვისაც ეკუთვნის, ამ საშიშს გარემოებას, რათა სნეულებამ არ მოიდგას ფეხი, თორემ ხალხი თითქმის სასოწარკვეთილებას ეძლევა და არ იცის, რა საშვალებას მიჰმართოს და რითი ინუგეშოს თავი.

⁂ სოფ. დიდი ჯიხაიში (ქვემო იმერეთი): 30 ივლის აქაურმა ნასწავლ ახალგაზრდობამ წარმოდგენა გამართა. წარმოადგინეს პიესა „რაც გინახავს, ველარ ნახავ". ხალხი გვარიანად დაესწრო. ეტყობა, თუ რიგიაინ პიესებს დასდგმენ და რიგიანათაც წარმოადგენენ, ხალხი თანაგრძნობას არ მოაკლებს. უნდა შევნიშნოთ, ერთი ახალგაზდა ბ-ნი ლ. კინტოს როლს კარგად თამაშობდა და ძლიერ მიიქცია ხალხის ყურადღება, დანარჩენებმაც, ერთის გარდა, რიგიანად ჩაატარეს თავიანთი როლები და ზეპირადაც კარგად დაესწავლათ. საზოგადოდ მადლობის ღირსნი არიან ყველანი და განსაკუთრებით მანდილოსნები, რომელთაც მიიღეს მონაწილეობა. იმედია, რომ მარტო ამას არ დაგვაჯერებენ.

31 ივლისს აქ ბრძანდებოდა გუბერნატორის მრჩეველი (Совѣтникъ) ბ-ნი მალევსკი აქაურ შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობის კასსის სარევიზიოდ. რევიზიით კასსაში საქმეები რიგიანად ნაწარმოები აღმოჩნდა. რაკი აქაურ კასას ძლიერ ცოტა თანხა აქვს, ამისათვის სთხოვეს მას, გვიშვამდგომლე გუბერნატორთან, რომ სახელმწიფო ბანკიდგან ფული გვასესხონო. ბ-ნ მალევსკიმ აღუთქვა შუამდგომლობა.

⁂ სოფ. ახალ-ქალაქი (გორის მაზრა), 3 მარიამობისთვე: შარშანდელი არა სასიამოვნო სტუმრისაგან დაწიოკებული ჩვენი მხარე წლევანდელმა ზაფხულმა სრულიად დაამშვიდა, თუმცა-კი დიდ შიშს ქვეშ ვიყავით და ვემზადებოდით მასთან საბრძოლველად, რადგან, როგორც მითქმა-მოთქმა იყო, აუცილებლივ უნდა გვწვევოდა ხელმეორედ. გვიბრალა ღმერთმა და არა თუ ის საზარელი სენი არა ყოფილა, სხვა უბრალო ავადმყოფობაც-კი არ არის, ერთობ მშვიდობიანობაა.

ივლისის 31-ს სცენის მოყვარულთ, კნ. ელისაბედ ალექს. ას. თარხანიშვილის თაოსნობით, აქ ითამაშეს სამი ვოდევილი, ორი ქართული და ერთი რუსული საქველ-მოქმედო დანიშნულებით. წარმოდგენისთვის აქაგარაკად მყოფ ტფილ. მიწის მზომელთა სასწავლებელმა დაუთმო თავისი სახლები და ერთად ამ სახლების სიმშვენიერესთან და მოწყობასთან მოთამაშეთაც კარგის დახელოვნებით ითამაშეს და დიდად კმაყოფილი დარჩა საზოგადოება. გათავებისას, ამ საქმის მოთავეს კნ. ელისაბედ თარხნიშვილისას მიართვეს სცენაზედ მშვენიერი თაიგული და გამოუცხადეს გულითადი მადლობა, როგორც მას, ისე დანარჩენ მოთამაშეთაც, და ისურვეს, სხვა ჩვენმა ბევრმა ქართველ ქალთაგანმაც მიჰბაძოს ამ ნაირ მაგალითსაო.

⁂ სოფ. ნატოხაო (სენაკის მაზ.): ნათქვამია: უბედურს კაცს ქვა აღმართში მიეწევაო. სწორედ ეს ანდაზა აგვისრულდა დღეს. საშინელი სიცხე პაპანაქება და გვალვებია. ადამიანს კარში გამოსვლა უჭირს სიცხის გამო. სწუხს ყოველი სულიერი და უსულო არსება. დაშრა მდინარეები და წყლები, რის გამოც ყოველი სულიერი დიდს სასოწარკვეთილებაშია ჩავარდნილი და აღარ იცის, თუ რითი უშველოს თავის-თავს... გახმა ბალახი და ლამის საქონელი უსაჭმლობით დაიხოცოს... გაფუჭდა ჭირნახული. ნაადრევ ჯეჯილის იმედი გვქონდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იმედი გაგვიფრინდა ხელიდან. ნაგვიანევს კი უარესი დღე მოელის. ერთობ აშუშულია. ბოსტნეულობა ხომ სულ ასწვა და დახრუკა. ერთის სიტყვით, სამწუხარო სურათს წარმოადგენს ყანები და რა გულ-ქვავი კაცი იქმნება, ცრემლები არ გადმოჰყაროს თვალთაგან ამ ნაირის სურათის ხილვით... აგერ ორი თთვე სრულდება, რაც წვეთი წვიმა ჩვენკენ არ ჩამოვარდნილა. ასეთს გვალვებს, დიდი ხანია თურმე, რაც არ მოსწრებულან მოხუცებულები. ამის გამო ხალხი ცხარე ცრემლით სტირის და ევედრება ღმერთს წვიმა მოავლინოს.

⁂ ახალ-სენაკი, 4 აგვისტო: ჩვენი დაბა დღითი-დღე სასურველს ზრდასა და წარმატებაში შედის და იმედიცაა, რომ ახალ-სენაკმა მალე მოიხვეჭოს ქალაქის სახელი. ამ ორის წლის წინად აქ ძნელად შეხვდებოდა კაცი ქვის შენობასა. ეხლა-კი ყოველ დღე წამოაჭიმებენ მშვენიერ გეგმის ქვის შენობასა, რომლისათვის არავითარს შრომას არ ზოგავენ.

აქ გამართულია ეგრედ წოდებული „ლიმონადის" ქარხანა, მაგრამ მის-მიერ გაკეთებული „ლიმონადი დ შუშხუნა" წყალი უგემურია და შიგ ჭურჭელში რაღასაც დაილექს ხოლმე. კარგი იქმნება, ქარხნის პატ-

---

წუხელ, ღამის კრებაზე, პარლამენტმა 78 ხმის უმეტესობით შეიწყნარა კანონ-პროექტი დღეში რვა საათის მუშაობისაო და რომ ამ კანონ-პროექტის უკეთესი დამცველი იყო გლადსტონიო... კიდევ და კიდევ იმავ ბებრუცუნამ—ამ კონსერვატორთა აზრით, უკეთურმა გლადსტონმა ჩაშალა პლანები სიბნელისა და პრივილეგიების მოყვარულთა, რომელთაც განგებ ისე ეჭირათ თავი, ვითომ და დიდად შეგვტკივა გული მუშა ხალხისათვისაო. მერე რა მოკლე, მაგრამ კაცთა მოყვარეობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა გლადსტონმა იმ კრებაზედ! ჯერა სთქვა, რომ არა მჯერა, თუ ეგ კანონ-პროექტი, მეორედ წასაკითხად წარმოდგენილი მთა-მადნის მთხრელ მუშათა კანონიერ სურვილის დასაკმაყოფილებლად, შეწყნარებულ იქმნებაო, და შემდეგ განაგრძო:

„თუ სასურველია, საეკონომიო თვისების კანონ-მდებლობა შეეფერ-შეეწონებოდეს ერის ამა თუ იმ წოდება-ჯგუფის ინტერესებს, მაშინ უნდა ვსთქვათ, რომ არ არის სხვა ისეთი წოდება-ჯგუფი, რომელსაც უფრო მეტი უფლება ჰქონდეს, ვიდრე ჩვენს მთა მადნის მთხრელ მუშებს, თავიანთი სურვილი გამოაცხადონ აქ და მოითხოვონ მისი დაკმაყოფილება. საფრანგეთის რევოლიუცია რომ დაიწყო, ბორკმა სთქვა, რაინდობა გაჰქრა, აღარ არსებობს ქვეყანაზეო. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს მღვიმე-მაღაროებში მადნის მთხრელ მუშებზე ბორკი ამას არ იტყოდა. ისიც-კი დასთანხმდებოდა, რომ რაინდობას არაოდეს არ გამოუჩენია ისეთი გმირობა, როგორსაც იჩენს ეს მუშა ხალხი. ჩვეულებრივი ამბავია საკვირველი გმირობა და თავდადება ამ ხალხის წარსულ ცხოვრებაში. ყოველგან, საცა-კი მღვიმე-მაღაროში აუცილებელია სიკვდილი კაცისა და, საცა თითქმის არავითარი იმედი არ არის ხსნისა, ამ ხალხში მუდამ მრავლად გამოჩენილან ისეთი გმირები, რომელთაც თავი გამოუმეტებიათ და გადაცვინულან სასიკვდილოდ გაწირულთა დასახსნელად და ან დაუხსნიათ, ან თვითონაც იმათთან ერთად განუტევებიათ სული". ტაშის ცემამ და გრიალმა გააწყვეტინა სიტყვა მოხუცსა. შემდეგ გლადსტონმა სთქვა, რომ კერძოდ მე სხვა აზრისა ვარო. ჩემი რწმენაა, რომ მთავრობა არ უნდა ერეოდეს ერის საეკონომიო ცხოვრებაში. თუმცა ასეა, მაგრამ მე მაინც იძულებული ვარ ახლა მხარი დავუჭირო ჩემს ახალგაზდა თანამშრომლებსა და მეგობრებს. როცა ერი და ქვეყანა თხოულობს, მეც უნდა მომხრე ვიყო იმ აზრისა, რომ სახელმწიფო ერეოდეს საეკონომიო ცხოვრებაშიო. გარნა ეს-კი სასურველია, რომ უფლება უმცირესობისა (ზოგან მადნის მთხრელნი წინააღმდეგნი იყვნენ, ნუ შეამცირებთ დღეში ათის საათის მუშაობის ვადასაო) არ იყოს უგულებელ-ყოფილი. ამ აზრითვე მინდა, რომ სულ უმცირესს ირლანდიელთ, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ახალს კონსტიტუციას, დაცული ჰქონდესთ უფლება თავიანთ საკუთარის თვით-მმართველობისაო.

„ხოლო მე დავრწმუნდი, რომ უმრავლესობა მადნის მუშათა და დიდი უმრავლესობაც კანონ-პროექტის მომხრეა. ამ გარემოებას ისეთს დიდს მნიშვნელობას ვაძლევ, რომ სრულიად შემიწყნარებია პრინციპი ბილლისა და თანხმობა გამომიცხადებია, წაკითხულ იქმნას იგი ხელ-მეორედ."

ამისთანა ლაპარაკის შემდეგ ბედი ჰომრულისა სრულიად უზრუნველ ყოფილია და პროგრესის თანამგრძნობელთა თანაგრძნობას დიდებულის მოხუცის მიმართ არა აქვს საზღვარი. ან-კი როგორ არ უნდა იყვეს კაცი მადლობელი ყოვლად ძლიერის, ყოვლად მდიდარის და კაპიტალიზმზე დამყარებულ სახელმწიფოს მთავარ—მინისტრისა, როცა სწორედ ორის დღის წინად, ვიდრე ეს დაუვიწყარი კრება მოხდებოდა, პარიჟის პოლიცია ხმალ-ამოღებული სცდილობდა გაეფანტა ერთი მუჭა მშვიდობის მოყვარე მუშა ხალხი, მოქალაქენი და დეპუტატნი, რომელთაც მონაწილეობა მიეღოთ მანიფესტაციაში იმისთვის, რომ დღეში რვა საათის მუშაობა შემოვიღოთო! უიარაღო ხალხი დაძლეულ და გაფანტულ იქმნა, დეპუტატ ბოდენს სცემეს და დააპატიმრეს, ხოლო რესპუბლიკის მთავარ-მინისტრმა დიუპუიმ სთხოვა პალატას: ნება მომეცით, სამართალში მივსცე ნაცემი და შეურაცხყოფილი ბოდენიო დ აი პალატაც შერცხვენილი და თავ-ლაფ დასხმული პანამის საქმით, ერთს წუთს არ დაფიქრებულა და გადასწყვიტა მივსცეთ სამართალში პოლიციისაგან ნაცემი დეპუტატიო.

რა საგულისხმო კონტრასტია! მონარქიული და კაპიტალის ბუდე ინგლისი უბრძანებს პოლიციას, წადი, აქა და აქ დიდი მანიფესტაციაა, მრავლად ხალხია შეყრილი და დაემორჩილე კრების უფროსთა ბრძანებას, რათა ექვსის მილიონის მცხოვრებით სავსე ლონდონში არ შესდგეს, არ დაბრკოლდეს მისვლა-მოსვლა ხალხისაო; სახელმწიფო კაცნი იღებენ ამისთანა მანიფესტანტების დელეგატებს და ცდილობენ მათს გადაწყვეტილებას შეუწონონ და შეუთანხმონ თვისი პოლიტიკა, პოლიტიკა დიაღ რომ მსოფლიო სახელმწიფოსი. გარნა საფრანგეთში, სულ ერთის სრუტეს გაღმა, რევოლიუციისა და სოციალისტთა ქვეყნის სატახტო ქალაქში, მთავრობა ენად-გაკრეფილთა და მოღალატე ყბედთა პოლიციას აძლევს ფეხ-ქვეშ გასაქელად დეპუტატისა და კანონ-მდებლის ღირსებასაცა, მოქალაქის უფლებასაც და თვით ერის სახელსაც-კი!

რით აიხსნება ასეთი ამბავი? რა არის ამის მიზეზი?—მიზეზია ზნე და ჩვეულებანი, მთელი წესი და წყობილება საზოგადო და სახელმწიფო ცხოვრებისა, მაგრამ ამაზედ შემდეგ მოვილაპარაკოთ.

W. Vasiani

რონმა ეს ნაკლულევანება აიცილოს და ეს სასმელი გაამჯობესოს და ჰყიდოს იმ ფასად, როგორც სხვაგან არის.

*** დ. ძველი-სენაკი: წარსულ თთვის უკანასკნელ რიცხვებში გზაზედ ახალსა და ძველ სენაკს შუა ერთი კაცი უდროვოდ სიკვდილის მსხვერპლი შეიქნა. აი ეს ამბავი როგორ იყო: საზრალოს ახალ-სენაკში ურემი დატვირთა ბარგითა ძველ-სენაკში წასაღებად. ამ გზაზე ერთს ადგილას ცოტა თავ-დაღმართია და ხიდიც ჩატეხილი. აქ რომ მოსულა საწყალი, ურემს ქვეშ მოჰყოლია და იმ წამსვე სული დაულია. საუბედუროდ ამ გზას ვერაფერი ეშველა-რა. ადგილ ადგილ ხიდებიც ჩატეხილია და გზა ხომ ოღრო-ჩოღროა. ამიტომ არის, რომ მეეტლეები მგზავრებს იმდენს ახდევინებენ, რამდენიც მათი სურვილია. კარგი იქმნება, ვისგანაც ჯერ არს, ხსენებულ დაბებს შუა ხიდებსა და შარა გზებს ყურადღება მიაქციოს.

*** გაზეთი „Рус. Жизнь“-ი იუწყება, რომ ფინანსთა სამინისტრო ამ მოკლე ხანში გაჰგზავნის საზღვარ გარედ რამდენსამე მოხელეს და დაავალებს ადგილობრივ შეისწავლონ შემოსავლის კვალობაზედ გაწერილ გარდასახადის საქმე.

*** იგივე გაზეთი იუწყება, რომ სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობის სამინისტროებს განზრახვა აქვთ საცდელად დააარსონ დედათა სამეურნეო სკოლა. ასეთის სკოლების საჭიროება დიდი ხანია აღიარებულია სასოფლო მეურნეობის გაუმჯობესებისათვის მრავალ კონგრესებზედა და კრებებზედ.

სახელმწიფო ქონებათა და მეურნეობის მინისტრი ა. ს. ერმოლოვი დიდად თანაუგრძნობს ამ საქმეს.

*** გაზეთ „Нов. Обоз.“-ს შეუტყვია, რომ ტფილისში ხოლერის გაჩენის გამო დეპეშით მოუწვევიათ ტფილისის პოლიცმეისტერი ბ-ნი მასტიცკი, რომელიც ამ ჟამად საზღვარ გარედ იმყოფება.

*** ხურმლინის მაზრის მცხოვრებელმა აღაბეკ დავიდოვმა პოლიციაში განმოაცხადა, რომ ნავთლუღის რკინის გზის სადგურთან 4 აგვისტოს 40 მან. ამომაცალეს ჯიბიდგანაო. დამნაშავე იუსუფ მუსტაფა-ოღლი შეიპყრეს.

*** 4 აგვისტოს ნავთლუღში, მტკვარმა ვიღაც დამრჩვალი კაცის გვამი გამორიყა.

*** ამავე დღეს აგურის ქუჩაზე ბაიკოს სახლს ცეცხლი წაეკიდა. ზარალი 2000 მანათამდეა. სახლი დაზღვეულია 6000 მან. პეტერბურგის დამზღვეველ საზოგადოებაში. იგივე სახლი დაგირავებული ყოფილა ტფილისის სათავადაზნაურო ბანკში 3050 მანეთად. მიზეზი ცეცხლის გაჩენისა მოსარეცხე დედაკაცის სტეფანიდა კოსტიკოვის გაუფრთხილებლობა ყოფილა. ქალი პასუხის გებაში მისცეს.

*** 4 აგვისტოს გრიგოლ სტეფანოვმა პოლიციაში გამოაცხადა, განოვის ქუჩაზე ჩემის სადგურიდამ 103 მან. ტანისამოსი და ფეხსაცმელი მოიპარესო. ეჭვი მიიტანა ჯარის კაცი სევასტ კულიგინზე.

*** ამავე დღეს მადათოვის კუნძულზე გუმბრის მცხოვრებელი ალექსანდრე სიმონიანი წაეჩხუბა გორის მაზრის მცხოვრებელს კირილე სავინოვსა და გვერდში მსუბუქად დასჭრა. დაჭრილი სამკურნალოში გაჰგზავნეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**სად. ხაშური.** სწორედ ოცი წელიწადი იქნება, რაც ხაშურში არსებობს რკინის გზის სამკითხველო, რომელიც დააარსა ინჟინერმა ვასილიევმა. სამკითხველოსათვის მის მიერ შეკრებილ იქმნა დიდძალი ფული რკინის გზის მოსამსახურეთაგან და ამ ფულით მართლა-და მდიდარი სამკითხველო გაიმართა. სანამ ბ-ნი ვასილიევი მსახურებდა ამიერ რკინის გზაზედ, სამკითხველომ შორს გაიდგა ფეხი, შეიძინა ძვირფასი წიგნები და აგრედვე ფული; წავიდა ვასილიევი და ხაშურის სამკითხველოს კეთილ დღეობაც თან გაჰყვა. სამკითხველომ დიდის ვაი-ვაგლახით ძლივსღა მოაღწია 1891 წლამდის.

უკანასკნელ წლებში თავის არსებობისა სამკითხველო ებარა ხაშურის რკინის გზის ერთს მოხელეთაგანს, რომელიც ამ საქმისთვის თთვეში 10 მან. იღებდა და რომელმაც 1891 წელს კიდევაც დაკეტა სამკითხველო. ამ ორის წლის განმავლობაში ბევრჯერ ალვძარით კითხვა იმის შესახებ, რომ სამკითხველო ხელ-ახლავ გაგვეღო და გაგვეახლებინა, მაგრამ ამაოდ.

მხოლოდ ეხლა ითავა ხაშურის დეპოს უფროსმა, რომლის წყალობითაც ივნისის 1 გაიხსნა კვლავ ხაშურის სამკითხველო, მაგრამ საუბედუროდ, სამკითხველოში რაც წიგნი იყო შეძენილი ინჟ. ვასილიევის დროს, იმის მეასედიც არაფერი დაუხვდა. რა იქნა ეს დიდძალი წიგნები ან ფული, რომელიც სამკითხველოს კასაში იყო—ამის მოპასუხე არავინა სჩანს. ხუთი წელიწადი არის, რაც ვცდილობთ რომ ამ ხსენებულ სამკითხველოსთან დაგვეარსებინა ქართული განყოფილება, მაგრამ არ იქნა, არ მოხერხდა; მხოლოდ წელს-კი დიდი ხნის სურვილი შეგვისრულდა ხაშურის დეპოს ქართველ მოხელეებს, დაარსდა სამკითხველოსთან ქართული განყოფილებაც. ჩვენდა სასიამოვნოდ, ხაშურის სამკითხველოში ვკითხულობთ დღეს: 1) „ივერიას“, 2) „კვალს“ და 3) „ჯეჯილს“. მაგრამ ჯერ-ჯერობით ქართული წიგნები-კი არა გვაქვს. 27 ივნისს ხაშურში გავმართეთ ქართული წარმოდგენა და ხარჯს გარდა დაგვრჩა 35 მანეთი. ამ ფულით გვინდა ვიყიდოთ ქართული წიგნები სამკითხველოსთვის.

ტეხნიკი. ი. ფანცულაია

---

**დ. ძველი-სენაკი:** მოგეხსენებათ, რომ ძველ-სენაკში ყოველ წლივ მარიამობისთვეს იარმუკობა იმართება, რომელიც დიდ-ძალ ხალხს იზიდავს კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხიდგან სავაჭროდ. იარმუკობა იწყება აგვისტოს პირველ რიცხვებიდამ და გასტანს თითქმის ბოლომდე. შარშან ხოლერის შიშის გამო იარმუკობა გადასდეს იმავე წლის ოქტომბრისათვის, მაგრამ არც ამ დრომ შეუწყო ხელი ვაჭრობას, რადგანაც იმ დროში აქედ გაცხარებული მუშაობა იყო და სავაჭროდ არავისა სცხელოდა. წელს კვლავინდებურად გააჩაღეს კარვები და საცაა კიდეც დაიწყობა იარმუკობა. კარვები წასრულ წლებზე შედარებით მეტი დასცეს, რადგანაც წელს უფრო ბევრს მოვაჭრეს მოელიან. კარვების ფასი უწინდელზე ნაკლებია.

წელს საზოგადოდ მთელს სამეგრელოში კარგი მოსავალი იყო აბრეშუმისა და, რასაკვირველია, ყველას ძველ-სენაკის იარმუკაზე მოაქვს გასასყიდად. სამწუხაროდ, წელს აბრეშუმის ფასი ერთობ ნაკლებია, რადგანაც ჯერ-ჯერობით არავინ მოსულა მყიდველი. აქაური (ებრაელები) თუ იყიდიან და იმათაც ჩალის ფასად მიაქვთ. ამიტომ ვისაც სურს ბლომად აბრეშუმის ყიდვა, შეუძლიან ათას ფუთობით იყიდოს საუკეთესო აბრეშუმის ძაფი და კარგი ქსოვილი დარაიები ამ იარმუკაზე.

---

**სოფ. ეკი** (სენაკის მაზრა): არა გვგონია მთელს სენაკის მაზრაში მოიპოვებოდეს ისეთი მიყრუებული სოფელი, როგორიც არის სოფ. ეკი. ვისაც ამ სოფლით უვლია, ის დაგვეთანხმება, რომ სოფ. ეკი ჩამორჩენილია მაზრის სოფლებს. სხვათა შორის ყურადღების ღირსია ამ სოფლის გზა, რომელზედაც უმეტესი ნაწილი ზუგდიდის მაზრის მკვიდრთა დაიარება და სოფლის ყოველი ნაჭირნახულევი მიაქვთ გასასყიდად ახალ-სენაკში. მაგრამ ვინ მოსთვლის, ამ გზაზე რამდენი ადამიანის სისხლი დანთხეულა და რამდენი ოჯახი დაობლებულა, აგრედვე რამდენი საქონელი დაღუპულა. დღე ერთი და ამ გვარი სამწუხარო ამბავი ასია, მაგრამ მაინც ვერ იქმნა და ვერა ეშველა-რა ამ გზას. მხოლოდ ეს უბედურება ერთს პატარა ადგილში ხდება, რომელიც სიგრძით ასე ოცი ადლის ოდენა იქმნება. ხსენებულ გზაზე ამ მოკლე დროში სამი უბედურება დატრიალდა. იმედია, ადმინისტრაცია ყურადღებას მიაქცევს და დაავალებს სოფელს ამ ცალ-ფეხა გზის შეკეთებას, რომლის შეკეთების დროც სწორედ ეხლა არის...

ფასტი

## მცირე შენიშვნა.

კარგა ხანია ჩვენს ენას ვსწავლობ: ვადარებ ძველ დროის ენის ფორმებს (მე-IX—XI საუკუნის ხელნაწერებისას) ახალი დროის ენისას და ყველა ამ ფორმებს—აწინდელ ქართულ კილოკავების ამ გვარსავე ფორმებს. ბევრი რამ საგულისხმიერო ჩნდება და ცხადდება ამ შედარებიდამ. ესეთი შესწავლა ჩვენის ენისა ქართულ ეთნოგრაფიულ და გეოგრაფიულ სახელწოდებათა აზრს გვიმარტავს და გვიცხადებს კანონებს ქართულ ენის სიტყვათა წარმოებისას და ზმნათა დახრა-უღვლილებისასა და სხ., და სხ.

ამ ხელად, სამაგალითოდ, მომაქვს ორიოდე ნიმუში:

ა) სიტყვები ზაფხული, ზამთარი და გაზაფხული რთული სიტყვებია: ზაფხული, ზა-მთარი, (გა)ზაფხული. ზა სვანურად ნიშნავს წელიწადს, ფხული ძველ ქართულში ნიშნავს ფხიანს, თავთავს, ფოთლიანს (ნახე ჩუბინაშვილის ლექსიკონი) მაშასადამე ზაფხული ანუ წელიწადი გაფოთლილი, თავთავიანი. გაზაფხული ზაფხულისკენ მიმავალ დროს აღნიშნავს. ზამთარი: მთარი წარმოსდგება სიტყვიდამ თოვლი (თირი მეგრულად), მაშასადამე ზამთარი ანუ წელიწადი თოვლიანი*) დაწვრილებით ცალკე).

ბ) ზუგდიდი (ქალაქი სამეგრელოში). ზუგ-დიდი: ზუგ (სვანურად) უდრის ქართულს ზურგი, მაშასადამე ზუგდიდი ანუ ზურგ დიდი, ადგილ-მდებარეობის მიმსგავსების გამო.

ამავე ფესვიდგან წარმოსდგება სახელწოდება ოზურგეთისა: ო-ზურგ-ეთი. ეთი ადგილის აღმნიშვნელი დაბოლოებაა, ვითარცა იმერი და იმერეთი, მხარი და სა-მხრეთი და სხ. ო (მეგრულად და ლაზურად და ძველ ქართულად) უდრის აწინდელს სა-ს, მაგ. სა-ბუდე=ო-ბუდე (მეგრულად), სა-ბანელი=ო-ბონალი, სა-ხიდელი=ო-ხიდალი და სხ. ამიტომაც ო-ზურგ-ეთი ანუ სა-ზურგ-ეთი, ესეც ადგილის მდებარეობისა და სიმაგრის გამო.

ეს მაგალითები, რომელთა საფუძვლიან გამორკვევას ჩვენ შევეცდებით შემდეგში, ცხადად გვიჩვენებენ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის ქართულის ენის შედარებით შესწავლას. თვით ქართული ზმნაც, რომელიც თავსატეხ საგნად გახდომიათ ჩვენ გრამატიკოსებს, თურმე უღვლილობს ბრძანებითი დახრის სახიდამა და მიმღეობიდამ და ეს კანონი ისევე მოქმედობს ქართულს ენაში, ვითარცა მის კილოკავებში, მაგ. მეგრულსა და სვანურ კილოებში.

ყველა ეს, რაც ვსთქვი, ვსთქვი იმიტომ, რომ დღეს მსურს აღვნიშნო რამოდენიმე სიტყვა და ფორმა, რომელიც, ჩემის მოსაზრებით, დღევანდელ მწერლებისაგან იხმარება უკანონოდ და უსწორმასწოროდ.

ერთ წერილში, რომელიც დასტამბულია ახალ მოზარდთა საკითხავად, შეგვხვდა სიტყვები:

ა) მამალი და დედალი მელა. უნდაკი ყოფილიყო ხვადი და ძუ მელა, რადგან ქართული ენა ნადირთა სქესის გამოსაჩენად მუდამ ხმარობს ამ სიტყვებს.

ბ) ხიფათი დაგვატყდეს. აქ დაგვატყდეს-ს შემდეგ გამოტოვებულია სიტყვა თავს, ამიტომ რომ დაგვატყდეს მუდამ იხმარება რთულად: ამბობენ თავს-დაგვატყდეს ანუ დაგვატყდეს თავს და არასდროს დაგვატყდეს. უფრო-კი სამჯობინაროა ითქვას არა ხიფათი თავს დაგვატყდეს, არამედ ხიფათი აგვიჩნდეს, შეგვემთხვეს, მოგვევლინოს, მოგვადგეს და სხ.

გ) მიცუნცულებს ფეხებზედ. ქართულად იტყვიან ფეხებით, რადგან ცუნცული შეიძლება ფეხებით და ზედ კი გვიჩვენებს ადგილს, მაგ. მელა მიცუნცულობს მთაზედ; კაცი ზის ცხენზედ და კაცი მიდის ფეხით და არა ფეხზედ. მიდის, მიცუნცულებს, მიჩაქჩაქებს, მიწანწალებს და სხ. ყველა ეს ზმნები გამოიცნობიან კითხვით რით? რაზედ? საით?

| | რით? | რაზედ? | საით? |
|---|---|---|---|
| მიცუნცულებს<br>მიდის<br>მიჩაქჩაქებს | ფეხით | გორაზედ | ტყისკენ |

დ) მელამ გამოჰყო თავისი დინგი. დინგის მაგიერ იტყვიან ტუჩს. დინგიანი ღორი და ტუჩიანი მელა, მგელი, ძაღლი და სხვ. (სერზედ მიდის სამი მგელი: ტუჩ-მოკლე და კუდაგძელი...; ხალხური ლექსი).

ე) გაიკმინდა სული. სულის გაკმენდა არ შეიძლება, არამედ განაბა. ხმა გაიკმინდა და სული განაბა.

ქართული ენა მოითხოვს წინადადებაში შემოტანილ სიტყვათა სასტიკ შეთანხმებასა და შეუღლებას ურთიერთთან.

| იგივე ავტორი სწერს: | ასე-კი უნდა იყოს: |
|---|---|
| ა) გაუბურტყნა მამალი, დაგლიჯა ნაწილ-ნაწილად და აჭამა | გაუბურტყნა..., დაუგლიჯა და სხვ. „უ“ ან გაუბურტყნაში არ უნდა ხმარებულიყო და ან, თუ აქ ხმარებულა, მეორე ზმნაშიაც არ უნდა გამოტოვებულიყო. |
| ბ) დაწანწალებდა ტყე და მინდორში | „დაწანწალებდა ტყესა და მინდორში“, რადგან აქ ორი წინადადებაა (აზრი): ერთი, რომ დაწანწალებდა ტყესა (შინა) და მეორე, რომ დაწანწალებდა მინდორსა შინა. შეერთებულ წინადადებაში „დაწანწალებდა ტყესა და მინდორში“ სიტყვიდამ ტყესა გამოტოვებულია ში (შინა) და სიტყვიდამ მინდორში გამოტოვებულია სა, ე. ი. პირველს მეორისთვის უსესხებია სა და მეორეს პირველისთვის ში. |
| გ) ლეკვები ახალი დაყრილნი იყვენ | ეს ფრაზა უნდა თქმულიყო ან ასე: ლეკვები ახალ დაყრილნი იყვნენ, ან ლეკვები ახლად დაყრილნი იყვნენ, ან (რომელიც ყველაზედ მართალია) ლეკვნი ახლად დაყრილნი იყვნენ.<br>დაყრილნი ქვიშანი<br>სამნი კაცნი<br>დაჭრილნი ტახნი<br>დიდნი ბატონნი<br>და არა<br>ტახები დაჭრილნი<br>ბატონები დიდნი და სხ. |
| დ) იგინი იყვენ, მიიმალენ, დაიღუპენ და სხვა. | უნდა უსათუოდ ითქვას: იყვნენ, მიიმალნენ, დაიღუპნენ და არა იყვენ, მიიმალენ, დაიღუპენ. წარსული სრული დრო წარმოსდგება პირდაპირ ბრძანებითი დახრისაგან, იყვენ (будь) და აქედგან წარსული სრული:<br>ვ-იყვენ (—ვიყუენ)<br>იყვენ ( იყუენ)<br>იყვნა ( იყუნა)<br>ვ-იყვენ-ით (ვიყუენით)<br>იყვენ-ით (იყუენით)<br>იყვნ-ენ (იყუნენ). |

მეორე:

მიიმალენ (скрывайся)

მი-ვ-იმალენ (я скрылся)
მიიმალენ
მიიმალნა
მი-ვ-იმალენ-ით
მიიმალენ-ით
მიიმალნეს (მიიმალნენ).

თქვინ (сказывай)
ვ-თქვინ
თქვინ
თქუნა
ვ-თქუენით
თქუენით
თქუეს (თქუნეს)

წერენ / წერინ (пиши)
ვ-წერინ
წერინ
წერნა
ვ-წერინით
წერინით
წერნეს

იყოფინ (бывай)

ვ-იყოფინ ვი-ყოფენით
იყოფინ იყოფენით
იყოფნა იყოფნეს

შენიშვნა. ბრძანებითი დახრა:
ა) მიიმალე (скройся)
ბ) მიიმალენ (скрывайся)
გ) მიიმალევი (скрывайся)
დ) მიიმალენინ (скрывайся)
ა) იყა (მთიულური, ლეკური) (будь.)
ბ) იყავი (бывай)
გ) იყვენ / იყვინ (бывай)
დ) იყვენინ (бывай)

ამ ძველი ფორმებიდგან, რომელთაც უწინდელი მწერლები არასოდეს ერთმანეთში არ ურევენ და რომელნიც გვაჩვენებენ მოქმედების მრავალკეცობასა (многократность дѣйствія) ანუ ერთგზობასა (однократность

---

*) ზა-მთარი: მ-თარი მიმღეობაა; ზა-მთარი=ზამთოვლი

дѣйствія), წარმოსდგებიან ზმნათა სახენი (краты)

| | | |
|---|---|---|
| გლოა | ძოა | წერა |
| გლოვა | ძოვა | წერვა |
| გლოვნა | ძოვნა | წერვნა |
| გლოვნნა | ძოვნნა | |

ეს ზმნები წარმომდგარან ბრძანებითი დახრისაგან:

ბრძანებითი წარსული სრული: განუსაზღვრელი:

ა) გლოე ვ-გლოე
გლოე
გლოა გლოა

ბ) გლოვე ვ-გლოვე
გლოვე
გლოვა გლოვა

გ) გლოვნე ვ-გლოვნე (ვ-გლოვინ)
(გლოვინ) გლოვნე ( გლოვინ)
გლოვნა გლოვნა

დ) გლოვნნე ვ-გლოვნენ
გლოვნნე
გლოვნნა გლოვნნა

და აქედგანვე სხმით გარდასვლითნი:
ბრძან. გლოვინ. გლოვინ-ება
გლოვინებინ გლოვინებინება
გლოვინებინებინ გლოვინებინებინება და სხ.

აი, ამიტომაც, თუ წინადადებაში ერთგან სადმე ვიხმარეთ ან „ვ“, ან „ნ“, მაშინ საჭიროა ეს ასოები თავიდგან ბოლომდის გავატაროთ. ჩვენს ავტორს არც ეს კანონი დაუცავს, მაგ. იგი სწერს:

ე) დედალი მელა აწოვებდა ძუძუსა, ეალერსებოდა, ლოკავდა — ძველი მწერალი-კი ამას ასრე იტყოდა და კანონიერადაც და კეთილ-ხმოვანადაც იტყოდა: აწოვებდა ძუძუსა, ეალერსებოდა და ლოკავდა.

ვ) უნდა ენადირნათ და ეჭირათ — „უნდა ენადირნათ და ეჭირნათ“, ასრე უნდა ითქვას უსათუოდ, რადგან ენადირნათ შეთანხმებულია სიტყვასთან ეჭირნათ, ხოლო თუ ვიტყვით ენადირათ, მაშინ მხოლოდ უნდა ვსთქვათ ეჭირათ.

შენიშნ. „ნ“-ს დიდი მნიშვნელობა აქვს. აი ერთი მაგალითი:
ა) ქრისტემან წარგზავნა პეტრე.
ბ) ქრისტემან წარგზავნნა პეტრე და პავლე.

აი ამიტომაც ყოვლად უკანონოა სიტყვები: იგინი იყვენ, მიიმალენ, დაიღუპენ და სხ. ეს მეორე პირია ბრძანებითი დახრისა და მეორე პირი წარსული სრულისა; ხოლო უნდა უსათუოდ ითქვას ისე, როგორც ძველნი სწერენ და როგორც დღესაც ხალხში გვესმის, ე. ი. იგინი იყვნენ, მიიმალნენ, დაიღუპნენ.

მოსე ჯანაშვილი

(დასასრული იქნება)

## წვრილი ამბავი

სამხრეთ ინდოეთში, გიმალაის მთების შუა, გადაჭიმულია დაცემული ველი ქიშმარისა. ეს ველი დასახლებულია მონგოლებით. აქ მველადვე არსებობს ერთი სარწმუნოება, რომლის დამაარსებლად ბაბა-ნანეკი ითვლება. იმან შეაერთა ორი სარწმუნოება, ინდუსებისა და მუსულმანებისა, განდევნა დებულებანი ამ ორ სარწმუნოებისა, რომელნიც ერთმანერთს ეწინააღმდეგებოდნენ, და ჰქადაგებდა ამ ორ სარწმუნოების შეერთებას და, სხვათა შორის, კასტების გაუქმებას და წმინდა ცხოვრებას. ბაბა-ნანეკის სიკვდილის შემდეგ ათი მოწაფე დარჩა, რომლებიც გულ-დასმითავრცელებდნენ მის მოძღვრებას. ახლად მორჯულებულებს სიხსებს უწოდებდნენ. ბაბა-ნანეკის პირველმა მოადგილემ, ანსადმა, დასწერა საღმრთო წიგნი გრანტი, რომელიც აქამომდე დაკრძალულია კარტანპურას ტაძარში. ბაბა-ნანეკის მეორე მოადგილემ, რამ-დამ, დაიმსახურა დიდი სიყვარული და თანაგრძნობა ინდოელთა მეფის აკბარისა და მისგან საჩუქრად მიიღო დიდი ადგილ-მამულები. ამ მამულში მან გააკეთებინა უკვდავების ტბა, ანუ როგორც თვითონ უწოდებენ, ამრიტა-სარი. XV საუკუნის დამდეგს ტბის შუაში მანააგო შესანიშნავი ტაძარი. ეს ტაძარი ოქროსა, მარმარილოს ქვისა და მვირფას ქვებით არის აშენებული. აგრეთვე რამდენიმე მვირფასი გუმბათი ადგას. ტაძარი შეერთებულია ნაპირთან ქვის ხიდით. საკვირველია სწორედ, რომ ეს თითქმის სულ ოქროთი მოჭედილი ტაძარი აქამომდე ხელ-უხლებლად დარჩომილა, ფრჩხილის ოდენა არა მოჰკლებია-რა. ეს გარემოება საკვირველი უფრო მით არის, რომ რამდენჯერ აუოხრებიათ ეს ქვეყანა, რამდენი არეულ-დარეულობა მომხდარა და რამდენჯერ საშინელი სიმშილი მოსდებია ქიშმირის მიდამოს და ამ გაჭირებაშიაც-კი ერთი ხელიც არ შეჰხებია ამ ტაძარს.

ბაბა-ნანეკის მოძღვრება თან და თან გავრცელდა და მოედო მთელს ქიშმირის ველსა.

1606 წელს მონგოლის მფლობელმა დაასჯატიმრა არჯუნი, რამ-დასის შვილი ციხეში მოაწამლინა. ამ გარემოებამ ააღელვა ნანეკის მიმდევარნი, რომელნიც თავ-გამოდებულ ფანატიკებად იქცნენ და ცალკე რესპუბლიკა დაიარსეს უწინდელ სპარტასავით(საბერძნეთში).ეხლასიხსები დიდად განვითარებულ ერთაგანია თურმე ინდოეთში.

— კესინგტონის მუზეუმ შეიძინა შესანიშნავი „წმინდა“ ხალი არდებილის მეჩეთისა. ეს ხალი სპარსეთის საუკეთესო ხელოვნებისაა, სიგრძით 5 საჟენამდე და სიგანით 3 საჟენი. საკვირველის ხელოვნებით არის ნაქსოვი. ყოველ ოთხკუთხ გოჯზედ 380 ლიანდაგი აქვს გავლილი, სულ 33,000,000 ლიანდაგი, ხალზედ ქსოვილით გამოყვანილია მედალიონი, ყვავილებით გარემოსილი. თავში ნაკერის ასოებით აწერია: „მე არსითა მქვს სხვა სავანე შენსა გარეშე. მოჰქსოვა მაქსუდის წმ. ადგილთა მონა— მორჩილმა კასხანიელმა 942 წელს“ (1535 წელს ქრისტეს აქეთ).

— ამას წინად ინგლისში გაირჩა ერთ ახალგაზდა 22 წლის ქალის საქმე. ქალი, გვარად მაბელი, უჩიოდა 76 წლის მოხუცს გეორგ განკუკს, პირობა არ შეასრულა და არ შემირთოვო. სასამართლომ დააკისრა მოხუცს 400 თუმანი ახალგაზდა „მსხვერპლის“ სასარგებლოდ.

## დეპეშა

4 აგვისტო

**პეტერბურგი.** დიდის მთავრის ნიკოლოზ ალექსანდრეს ძისა და დიდის მთავრის გიორგი ალექსანდრეს ძის აღმზრდელს, გენერალ-ადიუტანტს დანილოვიჩს უმაღლეს რესკრიპთან ერთად ებოძა ბრილიანტის ნიშნები წმ. ალექსანდრე-ნეველის ორდენისა, 50 წლის სამსახურის შესრულებისა გამო. ამავე შემთხვევის გამო ხელმწიფე იმპერატორის მიერ რესკრიპტში უმაღლესი მადლობა გამოეცხადათ: გენერალ ინფანტერიისას ნოტბეკს, გენერალ-ადიუტანტს სტიურლერს, გენერალ ინფანტერიისას ალილერსა და გენერალლეიტენანტებს პოდიმოვსა და შეველიევს; გენერალ-ლეიტენანტს თავადს ხოჯამ-ნისოვს ებოძა ორდენი თეთრის არწივისა.

“Нов. Время“ იუწყება, რომ სამხედრო სამინისტროს განზრახვა აქვს წელს მეტი პური იქონიოს სათადარიგოდ, ვიდრე წინა წლებში ჰქონდა.

**ათონი.** კუნძულ სამოსიდგან იუწყებიან, რომ ჯარსა და მცხოვრებთ შორის დიდი ჩხუბი მოხდა; რამდენიმე სოფელი განადგურებულია.

**ლონდონი.** ბომბეიდგან იუწყებიან, რომ მცხოვრებნი დამშვიდნენ; მაღაზიები გააღეს; უწესოება აღარა მომხდარა-რა.

**პარიჟი.** გაზეთები იუწყებიან, რომ დიუნკირხენში დიდის ამბით მიგებნენ ახალს გემს, ომელიც ივლის დიუნკერხენსა და პეტერბურგს შუა. ნავთ-სადგური ბაირაღებით იყო მორთული.

პეტერბურგის ბირჟა, 3 აგვისტო.

| | მყიდვე-ლისა. | გამყი-დველისა. | გაყიდუ-ლისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,74 | 7,77 | —,, |
| ტრამოყნის კუპონები . | 154 1/2 | 155 1/2 | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | —,, | —,, | —,, |
| 5°/0 პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | —,, | —,, | 241 1/2 |
| —მეორისა . . . . | —,, | —,, | 225 1/2 |
| 4°/0 მესამე სესხისა. . | —,, | —,, | —,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | 194 1/4 | —,, | —,, |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6°/0. . . . . . | 101 1/2 | —,, | —,, |
| 5°/0. . . . . . | —,, | 100 1/4 | —,, |
| ქუთაისის ბანკისა 6°/0. | 101 1/2 | —,, | —,, |
| 5°/0. . . . . . | —,, | 100 1/4 | —,, |
| 5°/0 ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | —,, | —,, | 98 3/4 |

## განცხადებანი


დაიბეჭდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიაში და მის აგენტებთან

ცა და დედამიწა

ალექსანდრე ივანოვისა

თარგმანი

დ. გიორგობიანისა

გამოცემა

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა“

ფასი ერთი აბაზი

კბილის ექიმი

ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—83)

მამოსადემი ცნოგანი (?)

პირველი კერძო საავადმყოფო

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ და სინჯავენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით იღებენ:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათამდის იმათ, ვისაც სჭირს სნეულებანი: გარეგანი (ხირურგიული), კბილებისა, ვენერიული და ათაშანგი (სიფილისი).

ე. მ. ჩიქოანი, 9—10 1/2 საათამდის, სნეულებანი: თვალის და ნერვებისა—ტაში ტკივილებისა.

ჯ. გ. რუდკოვსკი, 10—11 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი, ბავშვეისა და. დედათა სქესისა.

ი. ფ პროტასევიჩი, 11 1/2—12 1/2 საათამდის, სნეულებანი: ყურ-ს, ყელის და ცხვირისა.

ა. ზ. კარაპეტიანცი, 1—1 1/2 საათამდის, სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით მიიღებენ:

ი. გ. ჩეპურკოვსკი, 5—6 საათამდის, სნეულებანი: თვალის და გულმკერდისა; ხიმიურად და მიკროსკოპიულად გასინჯავს ნახველს (ხორხს) და შარდს.

ა. ა. გადომსკი, 6—7 საათამდის, სნეულებანი: ათაშანგი (სიფილისი), ხორცის კანის და გარეგანი (ხირურგიული).

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7 1/2 საათამდის.

ე. ი. ფრანციუსი, 7 1/2—8 საათამდის, სნეულებანი: ყურის, ყელის, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაურია; ფასი ექიმთა კრების რჩევისათვის (კონსილიუმისათვის) და ოპერაციებისათვის— მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოისა, დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.



ტფილ. გამოფენა.



ვერცხლისა



ოქროსი

ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

ტფილისში:

ვიღებ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასად ზეთს, ყოველ ნაირ ზეთიანს და მშრალ კრასკებს, აგრეთვე ლიტო-ტიპოგრაფიისას და ამათ მოწყობილებას, კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებშიაც 20°/0-ის ზეის გამოგზავნით, დანარჩენი საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). რაც შეეხება კარგი თვისების და კარგა შეზავებულის კრასკის გაყიდვას, ყველა მსყიდველი დარწმუნებული უნდა იყოს რომ უტყუარი იქნება. ჩემის საშუალებით და ჩემის თავდებობით შეუძლიან ყველას ყველანაირის სინიდისიანის ხელოსნების შოვნა, მხოლოდ ცოტა ადრე უნდა შეგვატყობინონ.

(48—35) ალ. თუთაევი

გმოვიდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიებში

ახალი წიგნი

ვალერიან გუნიასი

დრამები და კომედიები

წიგნი პირველი

1) და-ძმა, დრამა 5 მოქ.
2) ჩათრევას ჩაყოლა სჯობიან, კომ. 1 მოქ.
3) მონადირე, ვოდ. 1 მოქ.
4) რაც არ მერგება—არ შემერგება, კომ. 1 მოქ.
5) არც აქეთ, არც იქეთ!. ვოდ. 1 მოქ.

ფასი 50 კაპ.


Доз. ценз. Тифлисъ, 5-го Августа 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე